ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1637435

ნომერი: AR1270918

თარიღი : 09.12.2014

გაცემის თარიღი : 11.12.2014

გაცნობის თარიღი : 12.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლება (ყოფ. დავითაშვილი), N 47 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო აბსანძე პ/ნ 01009014528
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. III კვ. კორ. 19 ბ. 15

ორგანიზაცია:

- NGS Group კოდი: 406073895

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 29.10.2014 წლის №1565207 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 08.12.2014 წლის #AR1270918 განცხადებით მომართა ნინო აბსანძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 29.10.2014 წლის №1565207 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2014 წლის №1565207 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი–მთაწმინდა), ამაღლების (ყოფ. დავითაშვილი) ქ. N47–ში, შ.პ.ს. "NGS Group"–ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 30 ოქტომბრიდან 2015 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

განმცხადებელი უთითებს, რომ პროექტის შეთანხმების სტადიაზე შეცდომით იქნა მითითებული ცალკეული ფართის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლი, რაც შესაბამისად აისახა 29.10.2014 წლის #1565207 ბრძანებაში, კერძოდ: საერთო ფართი 8731,4 კვ.მ.–ს ნაცვლად წარმოადგენს 8732,3 კვ.მ.–ს, სარდაფის ფართი 501,8 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 498,1 კვ.მ.–ს, ხოლო დამხმარე ფართი 404,4 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 409,0 კვ.მ.–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაასწოროს ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2014 წლის №1565207 ბრძანებაში დაშვებული შეცდომა და საერთო ფართად მიეთითოს 8732,3 კვ.მ, სარდაფის ფართად დაფიქსირდეს 498,1 კვ.მ, ხოლო დამხმარე ფართად მიეთითოს 409,0 კვ.მ.
2.წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2014 წლის №1565207 ბრძანებასთან ერთად;
3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.